



სატრანსფერო ფასწარმოქმნა საქართველოში - შეესაბამება თუ არა თქვენი საგაჭრო გარიგება გაშლილი ხელის პრინციპს?

რას ნიშნავს ტერმინი „გაშლილი ხელი“? ეს ტერმინი ჩვეულებრივ საბაზრო პირობებს გულისხმობს და ხშირად გამოიყენება დამოუკიდებელ მხარეებს შორის შემდგარი ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობების შესაფასებლად საგაჭრო გარიგებების დადებისას. ერთი და იმავე მულტინაციონალური ჯგუფის კომპანიების ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობისას კი გარიგების პირობები შესაძლოა რომელიმე მხარის სასარგებლოდ იყოს დადგენილი. გარკვეულწილად, პირობების ამგვარად დადგენა შესაძლოა ეფექტურ საგადასახადო დაგეგმვად იქნეს მიჩნეული. თუმცა, თუ ოპერაციების სტრუქტურა ისეა აგებული, რომ ხელოვნურად ხდება ჯგუფის კომპანიების დასაბეგრი ბაზის გაზრდა ან შემცირება სხვადასხვა ქვეყნებში, აღნიშნული გარიგება შესაძლოა ჩაითვალოს გაშლილი ხელის პრინციპთან შეუსაბამოდ ან საერთოდ მოგების იურისდიქციებიდან გადატანის მცდელობად.

სატრანსფერო ფასწარმოქმნა, რომელიც ისტორიულად შეზღუდული ინტერესის საგანს წარმოადგენდა, უკანასკნელ წლებში გლობალური კომპანიების ეკონომიკური საქმიანობის ჩვეულებრივ მოვლენად ჩამოყალიბდა. სატრანსფერო ფასწარმოქმნის გლობალური დისკუსიის ობიექტად ქცევა გამოწვეულია საერთაშორისო ბიზნეს-მოდელების მნიშვნელოვანი ზრდითა და საგადასახადო ორგანოთა უპრეცედენტო ინტერესით მულტინაციონალური კომპანიების მიმართ (მაგ: „ამაზონი“, „გუგლი“, „სთარბაქსი“-ს დაგები). საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრაქტიკის განვითარებამ შესაბამისი ასახვა ჰპოვა ქართულ სამართლებრივ რეალობაში.

სატრანსფერო ფასწარმოქმნა თავისთავად არ გულისხმობს უკანონო ან არაკეთილსინდისიერ ქმედებას, თუმცა მანიპულაციები შიდა ჯგუფურ ოპერაციებზე ფასების დადგენისას უმეტეს შემთხვევებში დაუშვებელია. ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი პრაქტიკის მეშვეობით ქვეყნები უზრუნველყოფენ საქონლის, მომსახურებებსა და ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული შიდა-ჯგუფური გარიგებების ფასის - „გაშლილი ხელის“ პრინციპთან შესაბამისობის დადგენას, ანუ იმ ფასის განსაზღვრას რომელიც ანალოგიურ გარემოებებში დამოუკიდებელ კომპანიებს შორის დადგინდებოდა.

2011 წელს ახალ საგადასახადო კოდექსთან ერთად პირველად იქნა შემოღებული საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების ზოგადი წესები, რომელიც გათვალისწინებულია საგადასახადო კოდექსის 126-129-ე მუხლებში. დეტალური მეთოდოლოგია გამოიცა ფინანსთა მინისტრის #423 ბრძანებით „საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების შესახებ“. ქართული კანონმდებლობა დაფუძნებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 2010 წლის სატრანსფერო ფასწარმოქმნის სახელმძღვანელოს მითითებებზე მულტი-ნაციონალური კომპანიებისა და საგადასახადო ორგანოებისთვის (ეთგო-ს სახელმძღვანელო). ეთგო-ს სახელმძღვანელო წარმოადგენს რეკომენდაციას მულტინაციონალური კომპანიებისთვის, რათა მათ კეთილსინდისიერად განახორციელონ შიდა-ჯგუფური ოპერაციები, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სათანადო დასაბეგრი ბაზის თითოეული იურისდიქციისთვის და გამორიცხავს ორმაგ დაბეგვრას. ყოველივე ეს ამცირებს კონფლიქტებს საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის და ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებას. უკანასკნელი ტენდენციებით, მიუხედავად იმისა რომ ეთგო-ს სახელმძღვანელო არასავალდებულო, მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მითითებებს წარმოადგენს, პრაქტიკაში მისი გამოყენება ხდება კონტროლირებული ოპერაციების შეფასების საერთაშორისო სტანდარტად. საუკეთესო პრაქტიკის მსგავსად, საქართველოს შემოსავლების სამსახური კონტროლირებული ოპერაციების შეფასებისას, მისაღებად თვლის „გაშლილი ხელის“ პრინციპით დადგენილ ფასებს.

მას შემდეგ რაც საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების წესები შევიდა ძალაში, შემოსავლების სამსახური ამ კუთხით ყოველწლიურად მზარდი სიხშირით ატარებს შემოწმებებს. აღნიშნული ფაქტი მოწმობს შემოსავლების სამსახურის გუნდის რიცხოვნობრივ და კვალიფიკაციურ ზრდას კონტროლირებული ოპერაციების შეფასების მიმართულებით. ასეთი მზარდი ინტერესი კი პირდაპირ გავლენას ახდენს ადგილობრივი რეგულაციებისა და პროცესების განვითარებაზე.



ექვევა თუ არა საქართველოში დაფუძნებული თქვენი კომპანია ამ რეგულაციების ქვეშ??

მიუხედავად ქართული რეზიდენტი კომპანიის იურიდიული ფორმისა და შიდა-ჯგუფის სტატუსისა (მშობელი, შვილობილი, ფილიალი, წარმომადგენლობა), ისინი საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების ქართული რეგულაციების ქვეშ ექვევნიან. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით მათი ნებისმიერი ოპერაცია უცხოურ ურთიერთდამოკიდებულ პირებთან ან შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული (აღნიშნული ტერმინი ქართული კანონმდებლობით განიმარტება, როგორც ტერიტორია, სადაც იურიდიული პირის მიერ მიღებულ/განაწილებულ მოგებაზე არ არის დაწესებული მოგების გადასახადი, ან აღნიშნული გადასახადი არ აღემატება 5%-ს) ქვეყნის რეზიდენტებთან კონტროლირებულად ჩაითვლება. ამას გარდა, ქართული კანონმდებლობა არ აწესებს არანაირ მატერიალურობის ზღვარს, რაც ნიშნავს რომ ყველა შიდა ჯგუფური გარიგება, ღირებულების მიუხედავად შესაძლოა გახდეს საგადასახადო შემოწმების ობიექტი. აღნიშნული გარიგებების ტიპი მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: საქონლის ყიდვა-გაყიდვა, საწარმოო საქმიანობები, სხვადასხვა შიდა ჯგუფური მომსახურებების მიწოდება-მიღება (მაგ: მმართველობითი მომსახურებები, ფინანსური და ანგარიშგების მომსახურებები, საინფორმაციო ტექნოლოგიური მომსახურებები და ა.შ.), ჯგუფის ბრენდის ან სასაქონლო ნიშნის გამოყენება, შიდა ჯგუფური სესხები და ა.შ.

ჩვენი გამოცდილებით კონტროლირებული ოპერაციების შეფასების ქართულ კანონმდებლობასთან შეუსაბამობა შესაძლოა მძიმე შედეგის მომტანი აღმოჩნდეს მულტინაციონალური კომპანიებისთვის. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს ორმაგი დაბეგვრა, მნიშვნელოვანი საგადასახადო სანქციები და საურავები. ასევე, კანონთან შეუსაბამობა გამოიწვევს გაჭიანურებულ დავის პროცესებს შემოსავლების სამსახურთან და შესაძლო სასამართლო დავასაც. კომპანიისთვის ამ ყველაფრისგან თავდაცვის უპირველესი საშუალებაა კონტროლირებულ ოპერაციებზე ფასების დადგენის საფუძვლიანი შიდა-პოლიტიკის დამკვიდრება, რომელიც გამყარებული იქნება საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების დოკუმენტაციით.

PwC-ს საინფორმაციო ბიულეტენის მიზანია ზოგადი ცნობიერების ამაღლება ამ არასრულად შესწავლილ სფეროში. ამ მიზნით, ჩვენ მოგაწვდით ინფორმაციას სატრანსფერო ფასწარმოქმნის ქართული პრაქტიკის განვითარების უახლეს ტენდენციებთან დაკავშირებით და გაგიზიარებთ საკუთარ გამოცდილებას კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე.

საინფორმაციო ბიულეტენი მნიშვნელოვნად დაეხმარება კომპანიებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან დარწმუნებული იმაში თუ რამდენად ექვევა მათი ეკონომიკური საქმიანობა სატრანსფერო ფასწარმოქმნის რეგულაციების ქვეშ. მიწოდებული ინფორმაცია მათ გაუადვილებს სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებულ პოტენციური რისკების იდენტიფიცირებას.

დაინტერესების შემთხვევაში, ჩვენ მზადყოფნას გამოვთქვამთ შეხვედრისთვის. დირექტორისა და ორი მენეჯერისგან შემდგარი PwC-ს გუნდი ერთ-ერთი საუკეთესო საქართველოში სატრანსფერო ფასწარმოქმნის მიმართულებით, რომელსაც გააჩნია საქმიანობის ფართო

PwC საქართველოს გუნდი მზადაა გიპასუხოთ შეკითხვებზე:

სერგი კობახიძე

დირექტორი

საგადასახადო მომსახურება

ტელ.: (+995 32) 250 80 66

Email: Sergi.kobakhidze@pwc.com

ბენ პიტერსენი

მენეჯერი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

Email: Ben.pietersen@pwc.com

ანასტასია ყიფიანი

მენეჯერი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

Email: Anastasia.kipiani@pwc.com

At PwC, our purpose is to build trust in society and solve important problems. We're a network of firms in 158 countries with over 250,000 people who are committed to delivering quality in assurance, advisory and tax services. Find out more and tell us what matters to you by visiting us at www.pwc.com.

PwC refers to Georgia member firm, which is a separate legal entity. Please see www.pwc.com/structure for further details.

© 2018 PricewaterhouseCoopers Georgia LLC. All rights reserved.